ბათითადი

II კლასი 2022 წელი

სახელი, გვარი , ტელეფონი ______________________________

სკოლა ______________________________

ქართულის მასწავლებელი ______________________________

*დავალება რომელიც ფასდება 2 ქულით*

**გამოცანა:** დაგსუსხავს და აგაყვირებს

ეს მცენარე ბრაზიანი.

1. რომელ მცენარეზეა საუბარი?

ა) ჭინჭარი ბ) კრაზანა გ) ეკალი დ) კოღო

*დავალება რომელიც ფასდება 3 ქულით*

2. რამდენი თანხმოვანია სიტყვაში **„ჭინჭარი"**?

ა) სამი ბ) შვიდი გ) ოთხი დ) ხუთი

*დავალებები რომელიც ფასდება 5 ქულით*

3. რამდენი მარცვალია სიტყვაში **„ჭინჭარი"**?

ა) ორი ბ) სამი გ) ოთხი დ) ერთი

4. რომელ სიტყვაშია მეტი თანხმოვანი ხმოვანზე?

ა) ლომი ბ) ენძელა გ) მელა დ) მცენარე

## დავალებები რომელიც ფასდება 7 ქულით

### *წაიკითხე ტექსტი და უპასუხე კითხვებს*

### მიბარებული კრუხ - წიწილა

ერთი დედაკაცი ქალაქში მიდიოდა და შვილს დაუბარა:
-კრუხ - წიწილას ყური უგდე. სანამ მე დავბრუნდები, არ დაგეკარგოსო.

შვილმა იფიქრა, წიწილები მართლა არ დამეფანტოსო და კრუხი და წიწილები ერთმანეთზე თოკით გადააბა.

უცებ მოფრინდა ძერა, ერთ წიწილას დააცხრა, მოიტაცა და თოკით გადაბმული სხვა წიწილებიც თავის კრუხიანად თან გაიყოლა.

5. რა დაუბარა დედამ შვილს?
   ა) სახლის დალაგება   ბ) კრუხ - წიწილის ყურის გდება
   გ) ბოსტნის მორწყვა   დ) ეზოს დაგვა

6. რით გადააბა კრუხ - წიწილა შვილმა?
   ა) ძაფით   ბ) თოკით   გ) ბაწრით   დ) ბუმბულით

7. რატომ გადააბა კრუხ - წიწილა შვილმა?
   ა) ეშინოდა მათი დაფანტვის.
   ბ) ეშინოდა მათი დახრჩობის.
   გ) ეშინოდა მათი ბოსტანში შესვლის
   დ) ეშინოდა მათი გზაზე გასვლის

### *დავალებები რომლებიც ფასდება 8 ქულით*

8. რატომ წაიყვანა ძერამ კრუხი და წიწილები?
   ა) ერთად უნდოდა ყველას წაყვანა
   ბ) კრუხის შვილებთან დაშორება არ უნდოდა

გ) ისინი ერთმანეთზე გადაბმულები იყვნენ

დ) კრუხმა სთხოვა და წაიყვანა

9. რომელ ანდაზას გვაგონებს შვილის საქციელი?

ა) კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო

ბ) რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო

გ) არც ერთი

დ) ორივე

10. რომელია ბოლო წინადადებაში ბოლო სიტყვა?

ა) მოფრინდა ბ) გაიყოლა გ) ძერა დ) წიწილები

*დავალებები რომლებიც ფასდება 10 ქულით*

11. რომელ ადგილას არის „ლე" მარცვალი სიტყვაში „**წიწილები**"?

ა) მეორე ბ) პირველი გ) მესამე დ) მეოთხე

12. ჩამოთვლილთაგან რომელია წინადადება?

ა) ერთი დედაკაცი.

ბ) კრუხ - წიწილა ერთმანეთზე.

გ) მოიტაცა და თოკით.

დ) მოფრინდა ძერა.

13. რომელია უსულო საგნის აღმნიშვნელი სიტყვა მოცემულ წინადადებაში?

ბებოს სათვალე დაეკარგა და დიდხანს ეძებდა.

ა) ეძება ბ) ბებოს გ) სათვალე დ) დიდხანს

14. რომელი სასვენი ნიშანი იწერება თხრობითი წინადადების ბოლოს?

ა) წერტილი ბ) კითხვის ნიშანი გ) ძახილის ნიშანი დ) მძიმე